

სოფელ დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, შეღებულხევის სახლში, № 43  
კანტორა რედაქციისა: მელოტი-ქვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მწერა: მიიღება კანტორაში, ბარეშე მცხოვრებთათვის; ВЪ ТИШ. ДИШ. ВЪ редакціи газ. „Дროზა“

გაზეთის ფასი: მთელი წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხულს და სხვ. ენებზე.  
ფასი განცხადებასა: დამატებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. აღუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაუხათ

## ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდავ

გუზარამსტი 3 აგვისტოს. ბოსნიელებმა ვენაში გაგზავნეს კაცი სათხოვნელად, რომ აესტრიაში თავის ჯარებით დაიჭიროს ბოსნია.

ნიუ-იორკი, 2 აგვისტოს. აქედამ წამოვიდა ცეცხლის გემი, რომელსაც ოსმალეთისათვის ერთი მილიონისა და ორასი ათასი დოლლარის თოფ-იარაღი და სხვა სამხედრო მასალები მოაქვს.

გუზარამსტი, 2 აგვისტოს. რუსის ჯარი კიდევ გადადის ღუნიანზედ ზიმნიცთან.

სტამბოლი, 3 აგვისტოს. სულეიმან-ფაშამ დაიჭირა რუსებისაგან დატოებული სოფლები ბალკანის მთებისაკენ და აგრეთვე შანლიყის გასაყალი. რუსები შიპკოში მაგრდებიან.

ალექსანდრეპოლი, 1 აგვისტოს. წინააღმდეგობა აღსაზრდელი იწერება აფხაზეთიდან რომ როგორც ჩვენი ჯარი მიუახლოვდა მდ. პოდორს, ოსმალებმა იმწამსვე მიატოვეს თავის გამაგრებული ადგილები ღრანდზე და ქელასურის იქით წაიხილნენ. ჩვენი ჯარი შეუდგა პოდორზე ხიდის გაკეთებას. აფხაზები შეშინებული არიან ჩვენი უკანასკნელი დროის გამარჯვებითა და წინააღმდეგობას აღარ გვიწევენ.

ლონდონი, 2 აგვისტოს. ამ უკანასკნელ დღეებში არაფერი შესანიშნავი შეტაკება არა მომხდარა-რა ბოლგარიაში.

ზაზეთს „Standard“-ში იწერებიან პეტიდამ, რომ აესტრიაში გამოაცხადო, რომ თავის ჯარებით არ დაიჭერს ბოსნიას და ჰერცოგოვინასაო.

ოსმალოებმა გადაწყვიტეს, რომ მცირე აზიაში ისინი წინ არ წაიწევენ რუსეთის სამზღვრისაკენ; მხოლოდ ეცდებიან, რომ არც რუსები შემოუშვან თავიანთ ქვეყანაში.

ინგლისის პარლამენტი 29 ენკენის-თვემდინ დაიხურა.

მიტჩხად-ფაშა ლონდონში მიდის.

ლონდონი, 3 აგვისტოს. პარლამენტის სხდომების შეწყვეტის დროს, კაროლევ-ვა შიქტორიამ, რომ ინგლისის მმართველობის პოლიტიკა ამაში მდგომარეობს, რომ სანამ ბრიტანიის ინტერესები შეუხებელი იქნებიან, მანამ ის ნეიტრალიტეტს არ დაარღვევს ამ ომში. მაგრამ, თუ ვინმე ინგლისს უფლებსა და ინტერესებს შეეხებ, მაშინ მე იმედი მაქვს, ამბობს პაროლევა, რომ პარლამენტი მოგვეცემს ღონისძიებას, რომ ეს უფლება და ინტერესი აღუადგინოთ.

## ოქის აზებუი

აზიის ბრძოლის ველიდავ

ოზურგეთიდან გვწერენ, რომ ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში აქეთკენ თითქმის სრული მშვიდობიანობა არისო. მხოლოდ ხანდისხან, ორსამ დღეში ერთხელ ყარაულად დაყენებულ ჩვენ ჯარს შეექნებათ ხოლმე სროლა ჩვენ შესაწუხებლად და ჩვენი ადგილების დასათვალიერებლად გამოგზავნილ ოსმალოს სალდათებთანაო და საქმე იმით თავდებაო, რომ თითო-ორიოლა კაცს დაგვიჭრიან და მოგვიკლენო.

შობულები ძალიან გაბრაზებული არიან თურმე ჩვენ, ქართველ მილიციებზე, განსაკუთრებით ამიტომ რომ ამით მიიღეს მონაწილეობა ღენერალ ოკლობოვის ბრძანების ასრულებაში, როდესაც სამი სოფელი აიღეს იმათაო.

— თქვენგან არ მოველოდით ამას! რაღაი მასეა, ჩვენ ვიცითო! ეს ქუდებიანები წავლენ, თქვენ კი აქ დაგვჩეხითო!

ქართველების მილიციონერებს საზოგადოთ ყველას აქვს ჩვენი კორრესპონდენტი. იმდენი ხალხი არცერთ ჩვენი ჯარის ნაწილში არ დახოცილა, რამდო-

ნიც ამ მილიციებში დაიხოცაო; მაგრამ მაგიერად არცერთ სხვა ჯარს იმდენი ზარალი არ მიუტია მტრისთვის, რამდენიც ამათ მისცენო. ამიტომაც ასე ემტერებიან ამათ ოსმალები და განსაკუთრებით შობულებიო.

„ამ სიძულელიისა და განხეთქილების მოსპობას, რომელიც ამ ქამად აღძრულა რუსისა და ოსმალოს ქართველებს შუა უკანასკნელი ოცი, ოც და ხუთი წელიწადი მაინც მოუწდებაო, და ამნაირად ჯერ-ჯერობით აქეთკენ ომმა ჩვენ ეს ნაყოფი მოგვიტანაო“, — ასე ათა-ნებს თავის შენიშვნას ჩვენი ოზურგეთელი კორრესპონდენტი.

ოსმალების ხონტქარმა გამოსცა ახალი პროკლამაცია, რომლითაც მოიხმობს ყველა მაჰმადიანს, რომელსაც თოფ-იარაღის ხმარება შეუძლიან, გამოვიდნენ და მოეხმარონ მთავრობას რუსების წინააღმდეგობაში, „რომელთაც ჩვენი სარწმუნოების და ჩვენი ქვეყნის მიწასთან გასწორება სწადიანთაო.“

ჩვენმა მკითხველმა შცის, რომ ოსმალოს მთავრობის განკარგულებით, მართა მცირე აზიაში 60,000 კაცის ახალი ჯარის მოკრება არის დადებული.

შალაქში გავრცელებულია ხმა, რომ იზმაილ-ფაშა, რომელიც, როგორც მოგვხსენებთ, პარაგანსარაისა და ჩინგის ქედით გადმოვიდა ჩვენს სამზღვარზე მრეწვის გუბერნიაში, და რამდენიმე სოფელი აიღო, ეს იზმაილ-ფაშა თავის ჯარით ამ ქამად იკდირში სდგასო. მაგრამ ეს ამბავი, რასაკერძოა დასაჯერებელი არ იქნება, სანამ ამის თაობაზე ოფიციალურ ტელეგრაფებს არ მივიღებთ ან უცხო ქვეყნის გაზეთები არ გვაცნობებენ.

ამას კი ამბობენ, რომ მრეწვის გუბერნია ძალიან დაფთხობილი არის ოსმალოს ჯარის ჩვენ სამზღვარზე გადმო-სვლითაო.

ევროპის ბრძოლის ველიდავ

მაკ-მაჰანი, გამოჩენილი კორრესპონდენტი ინგლისურის გაზეთის „Daily

„News-ისა, „Голосъ“-შიაც ბეჭდავს ხან-  
დახან თავის კორრესპონდენციებსა  
ერთს ამ თავის კორრესპონდენციაში უ.  
აკ.ძახანი, სხვათა შორის, შემდეგს იწე-  
რება 17 ივლისს:

„მსმალეები ჯერ კიდევ შიშკოს (ბალ-  
კანის) გასაქალში არიან. ამ ქაშად იმათ  
ორივე მხრით მოადგნენ რუსები და, უ-  
ეჭველია, რომ მსმალოს ჯარი იძულებ-  
ული იქნება გაიქცეს შიშკოლამ და რაც  
რომ სამართი იარაღი და სურსათი გა-  
ჩნათ, რუებს მიუტოვონ.

„ამ წაირად, შეიძლება ახლა ვსთქვათ,  
რომ რუსის მთავარი არმიის ბალკანზე  
გადასვლას არაფერი აღარ დაბრკოლებს  
და საფიქრებელია, რომ ეს არმია ტირ-  
ნოვოლამ მალე გასწევს ბალკანზე გა-  
დასასვლელად.

„და თუ ასე წავიდა შემდეგშიაც მსმა-  
ლოების საქმე, როგორც დღემდინ მი-  
დიოდა, მაშინ ჩვენ დარწმუნებით შეგ-  
ეიძლიან ვსთქვათ, რომ ერთი თვის  
განმავლობაში რუსის ჯარი სტამბოლ-  
ში ამოჰყოფს თავსა. ღღემდინ კი ოს-  
მალეებთან ბრძოლა რუსებისათვის თა-  
მაშობაა...“

საუბედუროთ, ეს წინასწარმეტყველე-  
ბა ინგლისური გაზეთის კორრესპონ-  
დენტისა როგორც ვერ ასრულდა; როგორც  
ტელეგრაფებში იცის მკით-  
ხველმა, რუსის ჯარი, პლენასთან სამ-  
ჯერ დამარცხების შემდეგ, იძულებული  
შეიქნა ბალკანის იქითა მხარე მიეტო-  
ვებინა და ახლა თვითონ სულეიმან-  
ფაშა გადმოვიდა აქეთ, ბალკანის მთებს  
გადმოღმა.

ბუნარესტიდამ მოსული დეპეშა გვა-  
ცნობებს, რომ 28 ივლისს ხელმწიფე  
იპერატორს ავსტრიის იმპერატორთან  
კაცი გაუგზავნია იმის თაობაზე მო-  
სალაპარაკებლად, რომ ავტრიამ რა-  
იმე დაბრკოლება არ მისცეს რუ-  
სთა ჯარს, რომელმაც სერბიაზე უნ-  
და გადაიაროსო. ამბობენ, რომ ბერ-  
მანიის იმპერატორიც ურჩევს ავსტრიის  
მმართველობას, რომ ეს თხოვნა აუს-  
რულოს რუსეთს.

ნემეცურ გაზეთს „Presse“-ში შემდე-  
გი დეპეშაა დაბეჭდილი, რომელიც ამ  
გაზეთის რედაქციას 29 ივლისს მიუღია  
შუმლიდამ:

„მრი დღის გაცხარებული ბრძოლის  
შემდეგ, მეჰმედ-ალი-ფაშამ წაართვა რუ-  
სებს ქ. რაზგრადი. მსმალოს ჯარში ძა-  
ლიან ბევრია დაზოცილები, რადგან რუ-  
სები შესანიშნავის მამაცობით იბრძოდ-  
ნენ. მაგრამ რუსების მხრითაც საკმაო  
დაზოცილებისა და დაჭრილების რიცხვი.  
ამ ქაშად ორივე მოწინააღმდეგე მხრის

ჯარები კიდევ ერთმანეთის პირ-და-პირ  
დგანან და რადგანაც რუსებს ახალი ჯა-  
რები მოუყვდათ, ამბობენ, დღეს-ხვალ  
ხელ-ახლად მოადგებიან ამ ქალაქს ასა-  
ღებთათო.

მნი-ზაგრისთან რუსის ჯარის დამარ-  
ცხების თაობაზე აი რას იწერებიან ერთს  
ინგლისურს გაზეთში 24 ივლისიდან:

„ძალიან საგრძობელად იყვნენ რუ-  
სები მნი-ზაგრისთან დამარცხებულნი.  
ოსინი არეულნი გაიქცნენ და მსმალოს  
ჯარმა ჰაინ-ბოგაზამდინ მისდია იმათა.  
მნი-ზაგრის გასაქალი ამ ქაშად სულე-  
იმან-ფაშის ხელშია. ზამარჯვებულების  
ხელში, სხვათა შორის, ორი რუსის  
ზარბაზანი დარჩა და რამდენიმე ყუთი  
ტყვია-წამალი.

მენის გაზეთს „Tagblatt“-ში დაბეჭდი-  
ლია შემდეგი დეპეშა 25 ივლისს შუმ-  
ლიდამ მიღებული:

„სულეიმან-ფაშამ ხელ-ახლად აიღო  
გუშინ ქაშანლიყი. შუმლასა და რუს-  
ჩუქს შუა რუსის ჯარისაგან გაფუჭებუ-  
ლი რკინის გზა ისევ გააკეთეს მსმა-  
ლოებში და ამ ორ ციხე-ქალაქს შუა  
ახლა თავისუფლად დაიარებიან მატარე-  
ბლები. იდიენ-ფაშამ დამარცხა რუსის  
კალონა მეჯიდიეს მახლობლად, რომე-  
ლიც ამის გამო რუსებმა მიატოვეს.

„პლენასთან გამარჯვებისათვის ხონ-  
თქარმა მსმალის ორდენი პირველი ხა-  
რისხისა მისცა მსმალ-ფაშას.“

„მირშის ტელეგრაფის აგენტობამაც“  
გვაცნობებს, რომ რუსებმა მიატოვეს  
მეჯიდიე და მთელი ტროიანის მალიო  
და იქ დაყენებულ მსმალოს ჯარს მოსა-  
ხმარებლად შევიპტეს ჯარი მიდის კი-  
დედ მეჯიდიეშიო.“

რუსის ღუნაის არმიაში მყოფი ინგ-  
ლისურ გაზეთის „Daily News“-ის კორ-  
რესპონდენტი, ასე აგვიწერს პლენოლამ  
დაბრუნებული რუსის ჯარის მდგომა  
რეობას:

„ბულგარენში მიმავალი გზა გუშინ,  
20 ივლისს, სულ სავსე იყო პლენოს-  
თან დამარცხებულის რუსის ჯარით. სა-  
შინელი სანახავი იყო ეს ჯარი: პრავი-  
თარი წესიერება; სალდათები უაფიცრე-  
ბოთ, აფიცრები უსალდათოთ, მომეტე-  
ბულ ნაწილს თოფები დაეყარათ და  
ხელ-ცარიელნი მიდიოდნენ დაქანცულ-  
დაფთხობილნი, არცერთს ადამიანის სახე  
აღარ ჰქონდა. დაჭრილები ხბოებივით  
ეყარნენ ურმებზე; შვიდ ვერსზე იყო  
გამწკრივებელი ეს ურმები უკანასკნე-  
ლი რომ ვსთქვა, მე ჩემის თვალით 4,000-  
მდინ ვნახე დაჭრილები.

„როგორც ეტყობა, ამ სამი დღის  
განმავლობაში პლენოსთან უკანასკნე-  
ლი 7,000 კაცი უნდა ყოფილიყოს მოკ-

ლული, დაჭრილი და დაკარგული (დატ-  
ყვებული).

„ზიმნიცში რომ მოგვედგა, ხალხი უკ-  
შინლად დაფეთებული დამხედა, რადგან  
ზოგიერთ დაჭრილებს ეთქვათ, რომ მს-  
მალოს ჯარი უკან მოგვსდევსო. როგორც  
ეს მოეგოთ აქაურ მცხოვრებლებს, იმ-  
წამსვე ბარგი შეეკრათ და მომეტებული  
ნაწილი კიდევ გაქცეულიყო...“

ინგლისური გაზეთის „Standard“ კორ-  
რესპონდენტი იწერება, რომ მნი-ზაგრი-  
სთან რომ სულეიმან-ფაშამ რუსის ჯა-  
რი დამარცხა, ამ ჯარში 4,000 რუსი  
იყო და 8,000 ბოლგარიელიო.

ბოლგარიელებმა გაქცევის წინათ სა-  
შინლად აწვალეს მნი-ზაგრის მცხოვრებ-  
ლები, განსაკუთრებით მაჰმადიანები და  
მშრალეებიო; ყველაფერი დასწვეს, მო-  
ხუცებულები და ბავშვები ნაკუწ-ნაკუ-  
წად დასტრეს, მერე ისე გაიქცნენო. სულე-  
იმან-ფაშამ კი ბოლგარიელი ტყვეები  
რეგულიარულ ჯარს მიაბარაო, რადგან  
იცოდა, რომ ჩერქესები გადახდას მოინ-  
დობდნენო.

# საქართველო

დღისური

\* \* ბუშინწინ, ოთხშაბათს, ჩვენს ქა-  
ლაქში ჩამოიყვანეს თელავიდან ხელ-ფეხ  
დაბორკილი 18 კაცი დილო-ლეკები, რომ-  
მელთაც ამ უკანასკნელ დროს არეუ-  
ლობა მოახდინეს და ასე დააფრთხეს ვაჟ-  
კაცობით განთქმული ჩვენი ძახეთი. ჩვენ  
შევიტყეთ, რომ ამათ გარდა ამ მოკლე  
ხანში კიდევ რამდენიმე დამნაშავე უნდა  
მოიყვანონ. მსენი, როგორც ამბობენ, სამ-  
ხედრო კანონით იქნებიან განსამართ-  
ლებულნი.

\* \* ბუშინდელმა და გუშინწინდელმა  
წვიმამ ცოტაც არის გააღბო დელა-მიწა  
და სოფლებშიაც იმდენი თუ იყო, რამდენ-  
ნიც ქალაქში, უეჭველია, სოფლის ხალხს  
წლევანდელი მოსავლის აღარ უნდა ეში-  
ნოდეს.

იმერეთიდან გეწერენ, რომ ამ სამი-  
ოთხი იღის წინათ იქითაც კარგა-გვა-  
რინათ უწვიმია და ამის გამო ჰაერიც  
ცოტათ აგრილებულა.

\* \* თფილისის ქლასიკური მიმნაზიის  
მთავრობა აცხადებს, რომ ვისაც წელს  
ამ მიმნაზიაში შესვლა სურს, ამ აგვის-  
ტოს პირველიდამ ვიდრე 25-მდინ უნდა  
შეიტანოს თხოვნაო მისაღები ეგზამენები  
31 აგვისტოს და 1, 2, 3 და 5 ენკენის-  
თვეს იქნება დანიშნული. სწავლა 6 ენ-  
კენისთვიდ ამდინიყებაო.

\* \* ჩვენ გვატყობინებენ, რომ აქაუ-  
რი სასულიერო სემინარიის შაგირდები  
ერთობ შვეიწროებული ყოფილან ვი-  
ლაც არტილრჩიკის (ეკონომის) ინ-  
ქოვისაგან. ამბობენ, რომ შაგირდი თა-  
ვისუფლად ქუჩაში ვერ გაივლის და  
ვერც ქართულ გაზეთებსა და წიგნს და-  
იჭერს ხელში; თუ შეამჩნია იმ უფ.  
ინსპექტორმა, იმ წამსვე სემინარიის ინსპექ-  
ტორთან, ჩვენ კარგათ ცნობილ უფ.  
ძუფშინსკისთან, მიზნის თურმე და მოა-  
ხსენებს, რომ ესა-და-ეს შაგირდი მუდამ  
ბაზარში დაეთრევა და ქართულ გაზეთს  
ჰკითხულობს.

რალა თქმა უნდა, რომ ამ გვარს შპი-  
ონურს ზედამხედველობას უფ. ინსპექტი-  
ორთან თავის ნებით არ იკისრებდა,—  
უფკველია, უფ. ინსპექტორმა მიანდო  
იმას ეს თანამდებობა...

**„დროშის“ კორესპონდენცია**

**სიღნაღი, 2 აგვისტოს.** ამ წლის „დრო-  
შის“ მე-87 და 101 ნომრებში იყო  
დაბეჭდილი კორესპონდენციები უფ.  
მალაროელისა, სადაც მოხსენებული იყო  
სიღნაღის პოლიციის ჩინოვნიკების უ-  
წყესო და წრეს გადასულ მოქმედებაზედ.

ამ საქმეზედ დიდი საყვედური და უ-  
კმაყოფილება ხდება დღეს ამათ შორის:  
როგორ შეეძლო უფ. მალაროელს ესრე  
გამოაშკარებოთ აწერა ყველაფრისაო და,  
როგორც გავიგე, ხსენებული ჩინოვნი-  
კები ჩივილსაც აპირებენ რედაქტორზე-  
და!

ეს რაც ზევით ვსთქვი, თვითონ იცი-  
ან—დამსწერმა და დამნაშავეებმა. მე კი  
ვიტყვი ერთ-ორ სიტყვას უფ. მალაროე-  
ლის სტატიასზედ და შემდგომ მე შეუ-  
დგები იმას, რაც უნახავს ჩემ თვალს.

ზემოხსენებული მე-87 ნომერი თქვე-  
ნის გაზეთისა წარსულს 12 ივლისს  
ეჭირა ხელში ერთს პირს მომრიგებელ  
სასამართლოში და ჰკითხულობდა ერთს  
ჩინოვნიკთან; ამ ჩინოვნიკმა გაიგო აღ-  
წერილი საქმეები პოლიციის ჩინოვნი-  
კებისა, გამოართვა ხელიდგან, იმ პირს,  
რომელსაც ეჭირა, და აჩვენა მომრიგე-  
ბელ მოსამართლეს; ამავე დროს დაეს-  
წრო უ. გამომძიებელი ძობიევიც. დაი-  
წყო ერთმა კითხვა მომრიგებელ სასა-  
მართლოს ბალკონზედ და ამ კითხვაზედ  
მოაწყდა მრავალი გარეშე ხალხი, რომ-  
ლებიც იყვნენ მიწვეულნი იმ დღეს სა-  
სამართლოში. ამ რიგათ ყოველმა იქ  
მყოფმა მოისმინეს აღწერილი კორეს-  
პონდენცია, შემდგომ იმათ რიცხვში  
გამოვიდა ერთი გლეხი-კაცი და აღვიარა  
მომრიგებელთან და სხვებთან, რომ ეს  
საქმე მომიხდინეს თვითონ მეო: მოა-

ყოლა ყველაფერი დაწერილებით თავი-  
დან; იმ ლაპარაკზედ გადმოსცივდა  
რამდენსამე გლეხს ცრემლი, რომ ყვე-  
ლას ასრე გვიშვრებიან და ჩვენ კი არა  
ვიციოთ-რა და ვილუპებით ასეო. (ეს  
გლეხი-კაცი, რომლისათვისაც მოეხდინ-  
ათ აღწერილი საქმე, ამ დღეს დაბარე-  
ბული იყო სასამართლოში)...

ახლა დავიწყო ჩემის თვლით ნა-  
ხულს და გთხოვთ მათხოვოთ ყური:

წარსულს თებერვალში იყო აღმოჩ-  
ნევა დეპუტატებისა, როგორც არის ჩვე-  
ულება, კენჭის-ყრით, და აი რა მოახ-  
დინა ამაზედ სიღნაღის პოლიციის პრის-  
ტავმა თ. ალექსანდრე. (იგივე სუცნა)  
მაჩნაძემ: როდესაც შეიყარა სიღნაღის  
საზოგადოება, რიცხვით 300-ზედ, თუ  
არ მეტი, მოახდინონ კენჭის-ყრა და  
აკუთვნონ ვისთვისაც უნდათ. (ამათში  
არ შეიძლება, თუ პოლიციის პრისტა-  
ვიც არ დაესწრას) და კიდევ აკუთნეს  
კენჭი-ყრით: მანო შავერდოვს, მიხეილ  
ლიანოზოვს, და ბიქო შარემუზოვს,—  
ხსენებულმა პრისტავმა დაიწყო რაღაც  
გაიძვერობა და ჩაშალა საქმე, რომ ბი-  
ქო შარემუზოვს არ ეკუთვნის დეპუტა-  
ტობა, რადგანაც ავანთყოფობს ხოლმე  
და აი მაგის მოადგილედ იყოს წყალობ  
ლიანოზოვიო. ნეტავი ერთი მთავრობამ  
მიაქციოს რიგიანი ყურადღება და შეა-  
მოწმებინონ—ბიქო შარემუზოვს რა  
ავანთყოფობა აქვს და ან ჰქონია თავის  
დღეში? მარამ არა. პრისტავმა,  
როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ისარ-  
გებლა წყალობ ლიანოზოვისაგან ცოტა  
რამ და დაუსვა 98 შარი, ტყუილათ  
მითომც რომ საზოგადოებისგან ჰქონ-  
და ამდენი შარი, მარამ, როგორც ზე-  
ვითა ვსთქვი ამ წყალობ ლიანოზოვზედ  
კენჭის-ყრა არ ყოფილა და სიხარბით  
პრისტავმა მოახდინა ეს საქმე. თუ ეს  
ტყუილია, მთავრობამ შეჰყაროს ის  
პირნი, რომლებიც დაესწრნენ იმ დღეს  
და ეკითხოთ—წყალობ ლიანოზოვზედ  
იყო კენჭის-ყრა, თუ არა? რა საკვირვე-  
ლია, რომ ყველა იტყვის არაო. მარამ  
დღეს ლიანოზოვს უზის, პრისტავისაგან  
და არა საზოგადოებისაგან, 98 შარი.  
და დღეს ეს პრისტავი გამოსულა და  
იღანძღება: როგორ თუ ჩემზედ ესა-და-  
ეს სტატია დასწერეს და დაბეჭდესო!

ამასთან აი ერთიც რა მოგახსენოთ:

ხანდისხან მოხდება ხოლმე, რომ სა-  
ხელმწიფო რამ იქნება ტორეში გასაყი-  
დი, მაგალითებრ: ჭილობები, თოკები,  
ტილოები და სხვანი. ამისთანა შემთხვე-  
ვაში აი რას შვრება ხოლმე ხსენებული  
პრისტავი: წაიყვანს ერთს ვისმეს და მი-  
ჰყიდის იმ ფასათ, რა ფასათაც ჰსურს,  
მაშინ როდესაც სიღნაღელები მივაცეთ:

ორ იმტენს, როგორც ჰყიდის სხვაზედ  
და იმასაც ჰყობს შუაზედ. ნახევარს ი-  
ღებს თვითონ და ნახევარსაც არღვეს  
კუთვნილს ადგილას.

ძალიან კარგი იქნება, ჩემის აზრით,  
რომ მთავრობამ მიაქციოს ყურადღება  
და მოახდინოს ამაზედ გამოძიება და  
უკეთუ დაუმტკიცდება, რათ უნდათ იმი-  
სთანა პირი, რომ სამსახურში ყავთ?

ბუშინ ვიყავით რამტენიმე შეკრები-  
ლნი პირნი ერთს მეპაპიროზეს შარუ-  
ხოვის მაღაზიაში და ერთმა სთქვა:

— რატო „დროშას“ არ გამოიწე-  
რათ, მალ-მალ ახალ-ახალ ამბებს შევი-  
ტყობთ?

მეორემ მიუგო:

— რალა „დროშა“ გვინდა? ისე არ ვი-  
ციოთ პრისავი მაჩნაძე რაებსაცტ შვრება!

— აბა წადი და ბურდიას უთხარი, ის  
დაწვრილებით გეტყვის იმის ამბებსა.

საიღამაც იყო, ამ ლაპარაკში გამოი-  
არა ხსენებულმა ბურდიამ და დაუძახეს.  
მართი ეუბნება:

— პრისტავე მაჩნაძეზედ არა იცი-რა?

დაიწყო ბურდიამ:


— მე ეს ვიცი, რომ, როცა ლუქანში  
მსხალი დამაკლდება, წაველ და გალაფ-  
ნის კარებთან დავსდგები ხოლმე, რომ  
ლეკები გამოატარებენ ურმით მსხალს, ვი-  
ყიდი და მიმაქვს ლუქანში; პრისტავი  
დამინახავს და დამიწყობს ჩხუბს. „შუა-  
დღემდინ არ შაგიძლიან, რომ იყიდო,  
და შუადღის შემერე რამტენიც გინდა  
იყიდო!“ ამავ საათში გაუშვებ ერთ ტო-  
მარა მსხალს და აუტან სახლობაში; მე-  
რმე თუ გინდა ათი ურემიც ვიყიდო  
საღუქნეთ, მე აღარას შეტყვის... აი ეს  
ვიცი, სხვა არაფერი...

მნახველი

**რას უნდა მიამციოს იმერეთის სა-  
მღვდლოცხობამა მუხრალეზა ამ აზვის-  
ტოს 17-ის შრილობაზედ?**

სმოტრიტლის და ნაჩალნიკის ხათრით  
და შიშით, რადგან შეილები გეყავს სას-  
წავლებელშიო, პირათ ვერა გვითქვამს-  
რა და ქართული გაზეთი ჩვენთვის ხომ  
არ მოუტია ღმერთს, რომ თავისი აზრი  
გამოაცხადოს კაცმა საქვეყნოთ და რა-  
საც უკანონობას ხედავს, სხვას ვაგებო-  
ნოს. ამისათვის მოარჩილად გთხოვთ, უ.  
რედაქტორო, მომცეთ ნება თქვენ პა-  
ტივცემულ გაზეთში გამოვსთქვა რამდენ-  
იმე სიტყვა მასზე, თუ რას უნდა მიაქ-  
ციონ ყურადღება სამღვდლოების ყრი-  
ლობაზე დეპუტატებმა და რა უნდა მო-  
ითხოვონ მათ სასწავლებლის სამმართ-  
ველოსაგან.

სამღვდლოების დეპუტატებმა უნდა  
მოითხოვონ ყრილობაზე ვისგანაც რიგია:



1). დაინიშნა თუ არა კომისია, ანუ გამოძიება, საჩივრისა მებრ სამღვდლოების დეპუტატებისა, რომელიც მათ შეიტანეს წარსულს წელს, სეკტემბრის თვეში, ყრილობაზე იმერეთის ეპისკოპოსს. ბაბრეღთან? რატომ არ მოახდინა გამოგზავნილმა კაცმა სემინარიის სამართველოდამ რიგიანი გამოკვლევა და თუ მოახდინა, რა აღმოჩნდა? ანუ რატომ კამისია არ დაინიშნა ამ საქმეზედ აქვე?

2). შეავსეს თუ არა 444 მანეთი შეკმული ფული, სამღვდლოებისაგან შემოტანილი, რომელიც არცერთ წიგნში არ არის ჩაწერილი და კვიტანციები კიდევაც აქვს თულის შემოტანაზე წინანდელ დეპუტატებს სახელდობრ: ბლალაჩინს, ჩინკელს, მ. ბიორგაძეს, ბლალაჩინს, ბ. ბიკვაძეს და სხვათა?..

3). ბარდახდეცინეს თუ არა სამოცდაათი მანეთი ერთ აზნაურის შვილს მესხს, რომელსაც უსაფუძვლოდ მისცა სასწავლებლის უმფროსმა წინეთ ღობის შემოსავლებლად სასწავლებლის გარეშე მო?

4). ბარდახდეცინეს თუ არა ას ექვსი მანეთი უ. სმოტრიტელს, რომელმანც სხვა ფულგებთან მიიღო ხაზინადრის უმიქიაშვილისაგან, მაგრამ შემოსავალ გასაფლის წიგნში კი აჩვენა ას ექვსი მანეთი ნაფალები?

5). ბარდახდეცინეს თუ არა ორი თვის ჯამაგირი უ. მასწავლებელს მაკაფარიანს, რომელსაც უ. სმოტრიტელმა მისცა ეს ფულები, მაშინ როდესაც ის დაინიშნული იყო ჩინოვნიკად კახენაია პალატაში?

6). დააბრუნა თუ არა ამავე უ. მაკაფარიანმა ზოგიერთი სასწავლებლის ნივთები, რომელიც მას გაჰყვა წასვლაზე?

7). რამდენი არის შემოსული ფული ყოველ წლობით გარეშე წოდების პირთაგან, რომელთაც სწავლის უფლები-საფეის ხდებათ და რაში იხარჯება ეს ფულები?

8). რატომ არ არის სია შედგენილი ცალკე გარეშე წოდების პირთათვის, რომ ადვილად შეიტყოს კაცმა—თუ რამდენი შემოვიდა და ვისგან და ვისზედ რა ღარჩა და თუ ღარჩი ვისმეზე, რატომ თავის დროზე არ გადაახდებინა სასწავლებლის სამმართველომ თანახმად ყრილობის გარდაწყვეტილობისა?

9). რამდენი შემოვიდა ბურჯის ეპარხიის სასულიერო წოდების მოსწავლე პირთაგან და აგრეთვე საქართველოა ეპარხიისა, რომელნიც უ. სმოტრიტელთან იდგენ და დგანან და ამ სასწავლებელში იზრდებიან, რომელთაც სამღვდლოების ყრილობამ თუთხმეტი მანეთი დაადვა თითოეულს შაგირდზე სწავლის უფლებისათვის ყრილობაზე წარსული წლის დამდგეიდა? თუ არა გარდაუხდებინებიათ რამე რატომ არ გარდახდებინეს, რადგან სამღვდლოებამაც გარდაწყვიტა ჟურნალით და ყოველად სამღვდლომაც დაამცკიცა ეს ჟურნალი?

10). რატომ არ დაერიგათ სამღვდლოებას წარსული წლის სასწავლებლის წლიური ანგარიში თანახმად მე-16 პუნქტისა § 40 სასწავლებლის წესდებისა?

11). სობოროს კრებული რატომ არა ფერს იხდეს სასწავლებლისათვის თავის ჯიბისგან, სამთლის ფულს გარდა, როდესაც თითოეულ სოფლის მღვდელს წელიწადში ოცი მანეთი არ ყოფნის; შეიტლებს კი ჩვენი ფულით გაზრდევინებენ იგინი და თავს მჯდომარეთ გახდომანზე ერთ დავიდარბას ასტეხენ ხოლმე?

12). რა მიზეზით აქვს მათ ამისთანა თავისუფლება მინიჭებული?

13). შუწმინდის სინოდის უქაზით, ათი კრებულისაგან უნდა ირჩეოდეს ერთი დეპუტატი და რა საფუძვლით ირჩეეს სობოროს კრებული, სამი მღვდელი, ერთს დეპუტატი, რატომ სხვასთან არ შეერთდებიან იგინი?

14). თუ ეს შემო-მოყვანილი კითხვები არ არიან ასრულებულნი და ეს უწყობა ისევ ძველ მდგომარეობაში არიან, რა შეიტყვეს და რა გააკეთეს ეკონომიურ ნაწილში იმ რევიზორებმა, რომელნიც ქალაქილამ მოვიდნენ და დახედეს სასწავლებელი?...

ბევრი რამ მაქვს კიდევ სათქველი, მაგრამ თევზის არ იყოს, წყალი მაქვს პირში და ვერ ვიტყვი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ კითხვებსაც ვერაინ გასცემს პასუხს, მაგრამ რა გავწყობა! მოციქული პავლეს სიტყვისა მებრ, მრთელი ქვეყანა ცოდაზედ არის დამდგარი!

იმერელი მღვდელი  
3 აგვისტოს

## ბანსხალეზანი

**თ. ი. ზ. ჩოლაყაშვილის**  
**გარდაცვალებაზედ**

თ ა ვ ი ს ს უ რ ა თ ი თ  
თქმული  
და ე თ ბ ი ვ ი შ ე ი ლ ი ს ა  
ისპიდმა სხვა და სხვა წიგნის მალაზიაში.

შანი ყველგან ორი შაური

რ.ა. ბ.ა.	დღეა.	სალაშ.	II კ.		III კ.		ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან.	კაპ	მაზანდა	მან.	კაპ
			მ.	კ.	მ.	კ.								
თფილისი	9 21	5 18	1	7	1	1	მ. სიტყვა იფილისილამ:		პეტერბურგი, 2 აგვისტოს			თფილისი, 4 აგვისტოს		
მცხეთა	10 11	6 27	2	68	38	1	მუთაისს, შოთს	1	მრთი ანეთი ლიბს:			შქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	20
ბორი	11 58	9 43	2	40	1 23	50	ბდოს, დუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 24 პენსი.	78		შქვილი წითელი.	1	
ხაშური	1 29	11 57	3	92	2 18	2	როსტოვს, მდებსას, მდსკოვს	2	პარიში 262 ნანტიმი.	81		ქერი ფული.	7	70
სურამი	1 44	4 42	4	42	2 46	3	პეტერბურგს, პარაშვას	2	მსკონტი(სარგებლობისუასი)	71		ბაშბა პრეენისა, ფული.	7	
შვირილა	5 49	5 81	5	81	3 23	3	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	ბანკის ბილეთი 5%	94		— ამერიკისა, ფული.	8	50
რიონი	6 47	6 75	6	75	3 75	3	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგებინი(პირველისესხი)	207		ბავენტილი ბაშბა ფთ.	7	80
სამტრედია	7 41	7 73	7	73	4 29	3	ინგლისში	3 75	მოგებინი (მეორე სესხი)	207 50		მატყლი თუშური ფთ.	6	
ახ.-სენაკი	—	8 57	8	57	4 76		ფოლგა		ბირაოს ფურცლები:			— თრაქაშისა ფთ.	3	80
შოთი	9 40	9 75	9	75	5 42		ა) თფილისილამ: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუხეთს—ყოველ დღე		თფილ. სააზნ. ბანკისა.			პბრეშვიმი ნუხტრის სტ.	2	20
შოთი	9 13	1 18	1	18	6 66		კვირას გარდა. ზუღდ. ორშ. და სამშ.		ხერსონის ბანკის (5%)	83		ქონი, ფული.	5	50
ახ.-სენაკი	—	2 6	2	6	1 14		მზურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—		მოსკოვის (5%)	90 50		ქონის სანთელი ფული.	6	20
სამტრედია	11 16	3 4	3	4	1 69		სამშ. და შაბ. ბ) მუთაისილამ:		აქციები:			სტეფანიის სანთელი, ფ.	12	
რიონი	12 13	3 98	3	98	2 21		თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		მდების სავაჭრო ბანკის	158		ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	54
შვირილა	1 18	5 33	5	33	2 96		დღე კვირას გარდა. მზურგეთს—		შოთი-თფილ. რიკნ. გზის			— ცხვრისა, ლიტრა	—	54
სურამი	5 12	5 84	5	84	3 24		ორშ. და პარასკ.		შავი ზღვის ცეცხ. გემების	465		სპირტი, გრადუსი	—	12
ხაშური	5 39	5 84	5	84	3 24		წიგნის გაგზავნა რუხეთში	კაპ	ქაკაზის და მერკურის.	203		შაკრი, ბროც. ფული.	7	80
ბორი	7 5	8 73	8	73	4 9		და სამზღვარ გარეთ:		პირე. საზღვევ. საზოგ.	735 50		— ფხვნილი ფული.	7	50
მცხეთა	8 50	8 5	8	5	4		წიგნის	4	პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50		შავი გრვადი, ფული.	2	5
თფილისი	9 31	7 56	7	56	9 75		დაბეჭდილის (სამი მისხალი).	8	მოსკოვის საზღვევ. საზ.	268		მქრო 1/2, იმპერიალი.	7	97